

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 102/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

შალვა მხეიძე (სტუდენტი)

ფაქტები:

2013 წლის 29 ივლისს თ.ი-სა (შემდეგში ადვოკატი) და ც.გ-ს (შემდეგში კლიენტი) დაიდო საადვოკატო მომსახურების ზეპირი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ადვოკატი კლიენტს, როგორც შპს-ს დირექტორს, წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართლის დავაში, სამივე ინსტანციაში. 2015 წლის 23 ივნისს სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ დავაზე გამოაცხადა გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ კლიენტი და ადვოკატი. ამავე დღეს ადვოკატმა წერილობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-დან 30 დღემდე შუალედში ადვოკატი იმყოფებოდა სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით. ადვოკატს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2015 წლის პირველ ოქტომბერს. ამავე წლის 19 ოქტომბერს ადვოკატმა აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე შეიტანა საკასაციო საჩივარი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ (შემდეგში სასამართლომ) 2015 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ზემოხსენებული საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო. ადვოკატმა აღნიშნული გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა მისი გაუქმება და გასაჩივრების ვადის აღდგენა. სასამართლომ 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ზემოთქმულ კერძო საჩივარზე დაადგინა ხარვეზი, რომელიც ადვოკატის მიერ გასწორებულ იქნა დაზუსტებული განცხადების შეტანის გზით. 2016 წლის 29 იანვრის განჩინებით სასამართლომ განიხილა შესწორებული საჩივარი და არ დააკმაყოფილა იგი. ადვოკატის თქმით, მან კლიენტს ინფორმაცია, ვადის გაშვების თაობაზე, მიაწოდა დროულად; კლიენტის თქმით კი მან აღნიშნულის შესახებ გაიგო სააღსრულებო წარმოების დროს. კლიენტი ადვოკატს ედავება, რომ მან არ დაიცვა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა და დროულად არ მიაწოდა მას ინფორმაცია ვადის გაშვების თაობაზე.

სამართლებრივი შეფასება:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ (შემდეგში კომისია) იმსჯელა: ა) იყო თუ არა სახეზე ადვოკატის მხრიდან, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში აპეკ) 8.5 მუხლისა (კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა) და ბ) აპეკ-ის 8.6 მუხლის (კლიენტის ინფორმირების ვალდებულება) დარღვევა. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნებულების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება. ადვოკატმა კლიენტის მიერ გაცემული რწმუნებულების მიუხედავად, საქმის მსვლელობის შესახებ კლიენტს ინფორმაცია დროულად უნდა მიაწოდოს. ეთიკის კომისიამ მიუთითა გასაჩივრების წესის შესახებ სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით დადგენილი დანაწესი - რაც გულისხმობს მხარის ვალდებულებას, თუ იგი ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის (შემდეგში გადაწყვეტილება) გამოცხადებას, გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღის ვადაში და ჩაიბაროს გადაწყვეტილება - არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მხარე

¹ გადაწყვეტილების სრული ვერსია

ზემოხსენებული მუხლით დადგენილ ვადაში გამოცხადდა სასამართლოში, თუმცა ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების ჩაბარება. იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატი მივიდა სასამართლოში შესაბამისი ვადის დაცვით, თუმცა ვერ შეძლო გადაწყვეტილების ჩაბარება და როდესაც მოხდა გადაწყვეტილების ჩაბარება, ვადის დაცვით შეიტანა საკასაციო საჩივარი, კომისია არ ადგენს რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულება. კომისიამ აღნიშნა, რომ რადგანაც საპროცესო ვადის გაშვებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების ნაწილში არსებობს ორი ურთიერთგამომრიცხავი ახსნა-განმარტება, ხოლო სხვა სახის მტკიცებულება ამ ნაწილში წარმოდგენილი არ არის, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის გათვალისწინებით ვერ დადგინდება კლიენტის ინფორმირებულობის ვალდებულების დარღვევა.

დასკვნა: კომისიამ დაადგინა, რომ სახეზე არ არის ადვოკატის მხრიდან აპეკ-ის 8.5 და 8.6 მუხლების შესაძლო დარღვევა.